



## საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის #064/13<sup>1</sup>

### გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ნუგზარ მოსიძე (სტუდენტი)

#### ფაქტები

ადვოკატმა კლიენტის დაცვისას არ გამოიყენა სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საშუალებები იმისათვის, რომ მის მიმართ შეფარდებული სასჯელი დაკავშირებული არ ყოფილიყო თავისუფლების აღკვეთასთან ან განსაზღვრულიყო უფრო მსუბუქი სახის სასჯელი.

#### სამართლებრივი შეფასება

ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ე), 8.1, აპკ-ის 3, 6.1, და 8.5 მუხლების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია, დაცვის განხორციელების პროცესში, კლიენტის დავალებით და მისი სახელით, შეასრულოს კლიენტის ინტერესების დასაცავად საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა საჭირო საპროცესო მოქმედება. ადვოკატი ვალდებულია, საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულებები სასამართლოში, დააყენოს შუამდგომლობები. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი ახორციელებდა ორი ბრალდებულის დაცვას: ერთი, რომელიც თავს დამნაშავედ არ ცნობდა, არ სურდა საპროცესო შეთანხმების დადება და მის იურიდიულ ინტერესს წარმოადგენდა, ადვოკატს მისი გამამართლებელი ან მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი მტკიცებულებები მოეპოვებინა და სასამართლოში წარედგინა, შესაბამისი შუამდგომლობების დაეყენებინა; და მეორე, რომელმაც წაყენებული ბრალდება აღიარა და შედგა საპროცესო შეთანხმება ბრალზე და სასჯელზე. მოცემულ შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს ადვოკატის მიერ ერთი და იგივე სისხლის სამართლის საქმეში რამდენიმე კლიენტის წარმომადგენლობის განხორციელება, თუ აღნიშნული კლიენტის ინტერესები ერთმანეთს არ შეესაბამება.

#### დასკვნა

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატის მიმართ არ არსებობდა დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

<sup>1</sup> <https://www.gba.ge/pdf/5d131540d3f1d.pdf/064.13%2006.12.%202013%20gaftrtileba.pdf>